



გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასთან (ISET)
თანამშრომლობით

კვლევითი ნაშრომების სერიები [PP/05/2015]

**საქართველოს წიაღის კანონმდებლობის საინვესტიციო დაბრკოლებების
აღმოფხვრა**

დავიდ საჰა, ჰანს-გეორგ პეტერსენი,
ლევან ფავლენიშვილი, ვოლდემარ ვალტერი

ბერლინი/თბილისი, დეკემბერი, 2015 წელი

გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველოს შესახებ

გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო (შემდეგში GET) ეხმარება საქართველოს მთავრობასა და სხვა ქართულ სახელმწიფო დაწესებულებებს, როგორცაა, მაგალითად, საქართველოს ეროვნული ბანკი, ეკონომიკის პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ მუდმივად ვხვდებით უმაღლესი დონის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და ვაცნობთ ჩვენს ანალიტიკურ საქმიანობას. GET ფინანსდება გერმანიის ეკონომიკის საქმეთა და ენერგეტიკის სამინისტროს მიერ. ჩვენი პუბლიკაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია ჩვენს ვებ-გვერდზე (www.get-georgia.de).

გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველო

ასევე: Berlin Economics

შილერის ქ. #59, D-10627, ბერლინი, გერმანია

ტელ.: +49 30 / 20 61 34 64 0

ფაქსი: +49 30 / 20 61 34 64 9

ელ-ფოსტა: info@get-georgia.de

ვებ-გვერდი: get-georgia.de

საქართველოს წიაღის კანონმდებლობის საინვესტიციო დაბრკოლებების აღმოფხვრა

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სექტორის წილი ქვეყნის მშპ-ში მცირეა, საქართველოს მთლიანი ექსპორტის თითქმის ერთი მეოთხედი სწორედ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე მოდის. შედეგად, საქართველოს ბუნებრივი რესურსების მზარდ გამოყენებას აქვს პოტენციალი, სარგებელი მოუტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და წვლილი შეიტანოს საჯარო ფინანსებში.

როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს კანონმდებლობა, რათა მეტი ეკონომიკური სარგებელი და საბიუჯეტო შემოსავლები მივიღოთ სასარგებლო წიაღისეულის სექტორიდან? არსებული კანონმდებლობა უქმნის უსარგებლო დაბრკოლებებს ინვესტიციებს სასარგებლო წიაღისეულის სექტორში. ეს აბრკოლებს ინვესტორებს, გაზარდონ აქტივობები საქართველოში, რაც იწვევს საქართველოს სასარგებლო წიაღისეულისა და სხვა მსგავსი სექტორების ეკონომიკური ზრდის შემცირებას. ნაკლებ საბიუჯეტო შემოსავლებს ვიღებთ სექტორიდან, რომელიც, როგორც წესი, უადრესად საინტერესოა გადასახადებისა თუ სხვა საბიუჯეტო შემოსავლების მიღების თვალსაზრისით.

არსებულ კანონმდებლობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ძირეული პრობლემა არის სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიების წინაშე არსებული ფისკალური ტვირთის არაპროპორციული განაწილება, რაც გამოწვეულია მინიმალური ფასის მქონე ლიცენზიის აუქციონის წესით გადაცემით. უმეტეს შემთხვევაში არსებობს მხოლოდ ერთი მყიდველი, ეს სისტემა ეფექტურად ამცირებს ადმინისტრაციული წესით განსაზღვრულ ფისკალურ ტვირთს პროექტის ადრეულ ეტაპზე, როდესაც ინვესტორის ლიკვიდურობა ჯერ კიდევ მაღალია. უფრო მეტიც, პოტენციურ საბადოებზე არსებული ყველა გეოლოგიური ინფორმაცია არ არის უფასოდ ხელმისაწვდომი, რაც საბადოებს ნაკლებად მიმზიდველს ხდის ინვესტორების თვალში. მოპოვების ეტაპზე როიალტის დონე არ პასუხობს საბაზრო ფასების ცვლილებებს და გადასახადებიც დამოკიდებულია არა რეალურად მოპოვებულ, არამედ გეგმით წინასწარ გაწერილ მოცულობაზე.

ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ მთელ რიგ ზომებს, რათა გაიზარდოს ეკონომიკური საქმიანობა და ფისკალური შემოსავლები სასარგებლო წიაღისეულის სექტორში. პირველ რიგში, შიდა ბაზრისთვის განკუთვნილ, იაფ ბუნებრივ რესურსებს (მაგ.: სამშენებლო მასალებს) უნდა არეგულირებდეს ცალკე კანონი. შემდეგ, სასარგებლო წიაღისეულისთვის უნდა შემუშავდეს ეროვნული სტრატეგია, რომელიც გულისხმობს, რომ შესაძლო ინვესტორებს აქვთ სრული და თავისუფალი წვდომა საბადოებზე არსებულ ყველანაირ ინფორმაციაზე. ის, ასევე, არეგულირებს სალიცენზიო პროცედურებს აუქციონით მინიმალური ფასების გარეშე. ამის შემდეგ ფისკალური შემოსავლები უნდა მოდიოდეს როიალტის 2-ეტაპიანი სისტემიდან, ფიქსირებული როიალტით (გამოხატული ფულად ერთეულში) ერთეულზე და მოქნილი ელემენტით, რომელიც დამოკიდებულია შესაბამისი რესურსისთვის მსოფლიო ბაზრის ფასებზე. მთავრობამ უნდა განიხილოს, შეუერთდეს მომპოვებელი მრეწველობების გამჭვირვალობის ინიციატივას (Extractive Industries' Transparency Initiative – EITI). ეს არის ქვეყნების ჯგუფი, რომელთაც აქვთ საერთო გამჭვირვალობის სტანდარტები სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიების შესახებ მონაცემებისთვის, რითიც აძლიერებენ მოგების გადასახადის აღსრულებას.

ავტორები:

დავიდ საჰა	saha@berlin-economics.com	+ 49 30 2061 3464 0
ჰანს-გეორგ პეტერსენი	hg@profpetersen.de	
ლევან ფავლენიშვილი	l.pavlenishvili@iset.ge	
ვოლდემარ ვალტერი	walter@berlin-economics.com	

განსაკუთრებული მადლობა

ავტორებს სურთ, მადლობა გადაუხადონ რიკარდო გიუჩისა და ერიკ ლივნის ძალიან სასარგებლო კომენტარებისა და რეკომენდაციებისთვის. ასევე, მადლობას ვუხდით ეკა ტყეშელაშვილს, ლაშა არევაძესა და ნანა ჯანაშიას საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სექტორში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებისთვის.

სარჩევი

1. შესავალი	1
2. სასარგებლო წიაღისეულის სექტორი საქართველოში	1
3. სასარგებლო წიაღისეულის არსებული კანონმდებლობა საქართველოში	3
ბუნებრივი რესურსების მოპოვების საკანონდებლო ჩარჩო.....	3
ლიცენზიის გაცემა	3
მოსაკრებელი და გადასახადები.....	4
4. სასარგებლო წიაღისეულის კანონმდებლობის მიზნები.....	6
5. არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს შეფასება.....	7
ლიცენზიის გაცემა	7
მოსაკრებელი და გადასახადები.....	7
ქართული სასარგებლო წიაღისეულიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები	11
6. რეკომენდაციები საქართველოსთვის.....	13
დანართი	20

1. შესავალი

მართალია, საქართველო სოფლის მეურნეობასა და ტურიზმთან უფრო ასოცირდება, მაგრამ მას აქვს ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი მარაგი. დღეისთვის ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე მოდის საქართველოს მშპ-ის მხოლოდ 1%. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამჟამად ბევრი რესურსის მოპოვება არ ხდება. შავი ზღვის სანაპიროზე გაზის შესაძლო საბადოებს თავი რომ დავანებოთ, სახეზეა ქვანახშირის, მანგანუმის, სპილენძისა და ოქროს მნიშვნელოვანი საბადოები, რომლებიც ამ ეტაპზე მხოლოდ ნაწილობრივ არის ათვისებული. სასარგებლო წიაღისეულის სექტორის საქმიანობის ზრდა მიზნობრივია ქვეყნისთვის რამდენიმე მიზეზის გამო: ეს ნიშნავს გაზრდილ ეკონომიკურ საქმიანობას (როგორც პირდაპირ სასარგებლო წიაღისეულის სექტორში, ისე საქართველოს შესაბამისი რესურსების დამატებითი ღირებულების ჯაჭვში შემდგომი ნაბიჯების გადადგმის პოტენციალით). სექტორს აქვს პოტენციალი, გახდეს ფისკალური შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო. მნიშვნელოვანია, შეიქმნას ბუნებრივი რესურსების მოპოვების მყარი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ საქართველო მაქსიმალურ სარგებელს იღებს აღნიშნული რესურსების გამოყენებიდან, როგორც ეკონომიკური ზრდის ეფექტის, ისე ფისკალური შემოსავლის სახით. უფრო მეტიც, ეკონომიკური და ფისკალური მიზნები თანხმობაში უნდა იყოს ქვეყნის ეკოლოგიურ და სოციალურ მიზნებთან.


საქართველოს არსებული საკანონმდებლო ბაზა არაა დეკვატურია, რაც დაბრკოლებას უქმნის ინვესტიციებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს საქართველოს ბუნებრივი რესურსების არაჯეროვან გამოყენებას. ამ ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის სექტორის კანონმდებლობის რეფორმირებისთვის. მეორე თავში ჩვენ წარმოვადგენთ ქართული სასარგებლო წიაღისეულის სექტორის მდგომარეობისა და მნიშვნელობის დეტალურ შეფასებას, მესამე თავში მოცემულია არსებული კანონმდებლობის მიმოხილვა. მეოთხე თავში წარმოდგენილია სასარგებლო წიაღისეულის კანონმდებლობის მიზნები. მეხუთე თავში ჩვენ ვაფასებთ ქართულ კანონმდებლობას საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო მაგალითების ფონზე, ხოლო მეექვსე თავში ვიძლევიტ რეკომენდაციებს.

2. სასარგებლო წიაღისეულის სექტორი საქართველოში

2014 წელს სასარგებლო წიაღისეულზე მოდიოდა საქართველოს მთლიანი მშპ-ის 0.8% (იხ. გრაფიკი 1). ძირითადად საუბარია ორი ტიპის რესურსებზე: შედარებით იაფფასიანი სამშენებლო მასალების (ქვების) მოპოვება, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ახორციელებს უამრავი მცირე კომპანია, და შედარებით ძვირფასი მადნეულისა და მინერალების მოპოვება, რომლებიც თავმოყრილია შედარებით მცირე რაოდენობის მსხვილ საბადოებში, რომელთაც მართავენ მსხვილი კომპანიები. ყველაზე მნიშვნელოვანი საბადოებია ჭიათურის მანგანუმის საბადო და ბოლნისის სპილენძისა და ოქროს საბადოები.

გრაფიკი 1

სასარგებლო წიაღისეულისა და სამტეხლო საქმიანობის მთლიანი დამატებითი ღირებულება



წყარო: საქსტატი

უნდა აღინიშნოს, რომ სასარგებლო წიაღისეულის მცირე წილი მშპ-ში სრულად ვერ აფასებს ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკისთვის. ცხრილში #1 ნაჩვენებია, რომ საშუალოდ, 2012-2014 წლებში, საქართველოს მთლიანი ექსპორტის 24% სწორედ სასარგებლო წიაღისეულზე მოდიოდა. მანგანუმის გარდაქმნა ფეროშენადნობებად და აზოტის სასუქების წარმოება ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დაიწყო და დღემდე კონკურენტულია 2 ძირითადი ფაქტორის გამო: შედარებით იაფი ელექტროენერჯისა (ძირითადად აზერბაიჯანიდან იმპორტირებული გაზის) და ძირითადი მინერალური წარმოების საშუალებათა (მაგ.: მანგანუმი) გამო.

ცხრილი #1

საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული ძირითადი საექსპორტო საქონელი, 2012-2014 წლებში

	მლნ. აშშ დოლარი	ქართული ექსპორტი %	მსოფლიო ვაჭრობა %
ფეროშენადნობები	258.71	9.5	1.0
სპილენძი	154.42	5.7	0.3
სასუქები	135.14	5.0	0.6
ოქრო	66.87	2.5	0.0
ცემენტი	26.75	1.0	0.3
მანგანუმის ოქსიდები	6.69	0.2	2.1
მანგანუმი	2.98	0.1	0.1

წყარო: UN Comtrade

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის და არც უნდა იყოს არაგანახლებად რესურსებზე დამოკიდებული ეკონომიკა, ქართული სასარგებლო წიაღისეულის სექტორის განვითარება მნიშვნელოვანია ეკონომიკისთვის, მას შეუძლია მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანოს შედარებით მცირე წარმოების სექტორს. უფრო მეტიც, ლითონებისა და მინერალების წარმოებას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდაზე, ექსპორტსა და ფისკალურ შემოსავალზე.

3. სასარგებლო წიაღისეულის არსებული კანონმდებლობა საქართველოში

აღნიშნული ნაშრომი ეხება იმ სასარგებლო წიაღისეულს, რომელსაც არეგულირებს 1996 წელს მიღებული საქართველოს კანონი წიაღის შესახებ და სხვა, დამატებითი რეგულაციები. ეს კანონი ეხება წიაღის ყველა ბუნებრივ რესურსს, გარდა ნავთობის, გაზისა და ჰიდროელექტროსადგურებისთვის საჭირო წყლებისა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კანონი მოიცავს ბუნებრივი რესურსების შედარებით ფართო სპექტრს, მათ შორის შედარებით იაფ სამშენებლო მასალებს (მაგ.: ქვები და ქვიშა) და ძვირადღირებულ ლითონებსა და მინერალებს.

ბუნებრივი რესურსების მოპოვების საკანონმდებლო ბაზა

უფლებამოსილი საკანონმდებლო ერთეული არის 1996 წლის საქართველოს კანონი წიაღის შესახებ, რომელიც წარმოადგენს ლატვიის კანონის განახლებულ ვერსიას, მასთან დაკავშირებული და დამხმარე რეგულაციები, რომელიც მოიცავს კანონს ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ და მთავრობის სამი დადგენილება, რომელიც ნაწილობრივ ეხება ბუნებრივ რესურსებს ამ კანონის ფარგლებს მიღმა და რომელთაც არეგულირებს სხვა ძირითადი კანონები¹.

კანონი, თავისთავად, არეგულირებს საკუთრების უფლებასა და ვალდებულებებს, რომელიც ითვალისწინებს, რომ წიაღისეული და მინერალები არის არა მიწის მფლობელის, არამედ სახელმწიფოს საკუთრება. შედეგად, ბუნებრივი რესურსების მოპოვებისთვის საჭიროა მთავრობის ლიცენზია, რომელსაც არეგულირებს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ. შემდეგ უკვე ლიცენზიის გაცემის პროცესს არეგულირებს საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, და მთავრობის დადგენილება #136 ლიცენზიის გაცემის წესებისა და პირობების შესახებ. ლიცენზია სჭირდება როგორც ბუნებრივი რესურსების შესწავლას, ისე მოპოვებას. რესურსების მოპოვებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანია კიდევ ორი დადგენილება; 2008 წლის 4 აპრილის დადგენილება #1-1/480, რომელიც განსაზღვრავს აუქციონზე ლიცენზიის მინიმალური ფასის დადგენის მეთოდოლოგიას, და 2011 წლის 12 აგვისტოს დადგენილება #1, რომელიც განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსების მოპოვებისთვის კანონით გათვალისწინებული გადასახადების ან როიალტების დონეს.

ლიცენზიის გაცემა

ლიცენზია საჭიროა როგორც ბუნებრივი რესურსების შესწავლის, ისე კომერციული მოპოვებისთვის (გამონაკლისი არსებობს მხოლოდ მიწისქვეშა წყლის პირადი მოხმარების მიზნით გამოყენების შემთხვევაში). საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული გარემოს ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია ლიცენზიების გაცემაზე, ლიცენზირებისთვის საბადოების შერჩევასა და სალიცენზიო პერიოდის განსაზღვრაზე. ლიცენზიები კლიენტებს გადაეცემათ აუქციონის წესით. ლიცენზიის მფლობელი არ არის ვალდებული, ლიცენზირებულ რესურსთან ერთად ფლობდეს მიწასაც, იგი უნდა შეუთანხმდეს მიწის მფლობელს, თუ საჭირო გახდება მიწაზე წვდომა რესურსის მოსაპოვებლად.

მოპოვების ლიცენზია შეიძლება გაცივს მაქსიმუმ 45 წლის ვადით. თუმცა ჩვეულებრივი სალიცენზიო პერიოდი 20-30 წელია. ლიცენზიის მფლობელები ვალდებული არიან, მოპოვების გეგმა შეათანხმონ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან, რაც ლიცენზიის განუყოფელი ნაწილია. იგი დეტალურად აღწერს რესურსების მოპოვების გრაფიკს სალიცენზიო პერიოდში. ლიცენზიით

¹ ცხრილი A1 დანართში წარმოადგენს საქართველოში რესურსების მოპოვების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვას.

გათვალისწინებული რესურსების სრული მოცულობის მოპოვება, გეგმის თანახმად, უნდა დასრულდეს სალიცენზიო პერიოდის დამთავრებამდე. გეგმის დამტკიცების შემდეგ შესაძლებელია ლიცენზიის გარკვეული ნაწილის გასხვისებაც, თუმცა მყიდველები დამოკიდებული არიან წინასწარ დამტკიცებულ გეგმაზე. გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლები მოცულობის მოპოვების შემთხვევაში, მყიდველს ეკისრება ფინანსური პასუხისმგებლობა (იხ. ქვემოთ) ჯარიმის სახით. ამიტომ შესაძლებელია, რომ ერთსა და იმავე საბადოზე რამდენიმე კომპანია ერთდროულად მუშაობდეს. თუ სალიცენზიო პერიოდის დასრულებამდე ვერ მოხდება დაგეგმილი მოცულობის რესურსების მოპოვება, კომპანიას, ლიცენზიის გაგრძელების მიზნით, შეუძლია მიმართოს რეზერვების სახელმწიფო კომისიას (რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი). ასეთ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელმა უნდა დაასაბუთოს, რატომ იყო შეუძლებელი სრული მოცულობის მოპოვება. ლიცენზიის განახლება არ წარმოშობს დამატებით ხარჯებს.

შესწავლის ლიცენზია, როგორც წესი, უფლებას აძლევს მყიდველს, შეისწავლოს საბადო, არის თუ არა იქ რაიმე სახის ბუნებრივი რესურსი და ძალაშია 5 წლის განმავლობაში. გავრცელებული პრაქტიკა გულისხმობს ლიცენზიის გაცემას მაქსიმალური მოქმედების ვადის გათვალისწინებით. თუ შესწავლის შედეგად რესურსები აღმოჩნდება, შემდეგ შესაბამისი კომპანია უფლებამოსილია, მიიღოს მოპოვების ლიცენზია ყოველგვარი შემდგომი აუქციონის გარეშე. თუმცა მოპოვების ლიცენზიის მოსაპოვებლად მას მოუწევს აუქციონის საწყის ფასსა და მის მიერ გადახდილ შესწავლის ლიცენზიის საფასურს შორის არსებული სხვაობის დაფარვა.

მოსაკრებელი და გადასახადები

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საქმიანობასთან დაკავშირებული ფისკალური ტვირთი გულისხმობს სახელმწიფოსთვის სამი ტიპის გადასახადების გადახდას: საწყისი ლიცენზიის საფასური (როგორც ტერიტორიის შესწავლისთვის, ისე მოპოვებისთვის, თუ კომერციულად ვარგისი მარაგი იქნება აღმოჩენილი), როიალტები (ფიქსირებული ფასი მოპოვებული რესურსის ერთეულზე) და მოგებისა და ქონების ზოგადი გადასახადები

ლიცენზიის საფასური

ლიცენზიის საწყისი ფასი განისაზღვრება აუქციონით. გარემოს ეროვნული სააგენტო განსაზღვრავს გამოყენებული აუქციონის ტიპს. შეიძლება ჩატარდეს საჯარო, დახურული ან ელექტრონული აუქციონი. ყველაზე ხშირად გამოიყენება ელექტრონული აუქციონი. აუქციონის შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს ქართულ პრესაში და სააგენტოს ვებგვერდზე. თუმცა დღემდე ჩატარებულ ბევრ აუქციონში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი მყიდველი, ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთავრობის მიერ დაწესებული მინიმალური, საწყისი ფასის გამოთვლას. მინიმალურ, საწყის ფასსა და გადახდის წესებს ადგენს გარემოს ეროვნული სააგენტო. ლიცენზიის საწყისი ფასის გამოთვლის მეთოდოლოგია განსაზღვრულია 2008 წლის 4 აპრილის დადგენილებით #1-1/1480.

მოპოვების ლიცენზიისთვის, როგორც წესი, აუქციონის საწყისი ფასი არის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის წმინდა მიმდინარე ღირებულება (net present value – NPV, მომავალი შემოსავლის ფასდაკლებული ნაკადი, იხ. დანართი) ლიცენზიით გათვალისწინებულ პერიოდში რესურსების სრული მოპოვებისთვის, ამ დროისთვის გამოუდმებული მოპოვების მოცულობის გათვალისწინებით. თუ ფორმულის გამოყენების შედეგად მიღებული საწყისი ფასი 10,000 ლარზე ნაკლებია, აუქციონის საწყისი ფასი უნდა იყოს 10,000 ლარი. როგორც წესი, შესწავლის ლიცენზიის ფასი არის 500 ლარი ჰექტარზე.

როიალტები: მოპოვებისა და კანონით გათვალისწინებული გადასახადები

მომპოვებელმა უნდა გადაიხადოს ორი როიალტი (მოპოვებული რესურსების მოცულობის ან ღირებულების მიხედვით განსაზღვრული გადასახადები). „კანონით გათვალისწინებული გადასახადი“ ირიცხება გარემოს ეროვნულ სააგენტოს ანგარიშზე, მოპოვების გადასახადი კი – ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ანგარიშზე. ქართული სისტემის თავისებურება ის არის, რომ კომპანიას უწევს, გადაიხადოს მოპოვებისა და კანონით გათვალისწინებული გადასახადი მის მიერ წარდგენილი მოპოვების გეგმის მიხედვით, თუნდაც გეგმით გათვალისწინებული მოცულობის მოპოვება ვერ შეძლოს. მეორეს მხრივ, გეგმით გათვალისწინებულზე მეტი მოცულობის მოპოვების შემთხვევაში, კომპანიას უწევს სხვაობის ანაზღაურება. როიალტების დონეები რესურსების ტიპების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში #2.

ცხრილი #2

ბუნებრივი რესურსების მოპოვების ლიცენზიის კანონით გათვალისწინებული გადასახადები

ბუნებრივი რესურსი	ერთეული	საკანონმდებლო ტარიფი (ლარი)	მოპოვების გადასახადი (ლარი)
ქვანახშირი	1 ton	0.1	1
მანგანუმი	1 ტონა / 1% შემცველობით	0.1	0.012
სპილენძი	1 ტონა	127.5	255.31
ტყვია	1 ტონა	14.8	37
თუთია	1 ტონა	36	90
ოქრო	1 გრამი	1.5	3
ვერცხლი	1 გრამი	0.02	0.03
დიატომიტი	1 ტონა	3	6
ნავთობი	1 ტონა	24.19	21
სხვა მინერალები	1 მ ³	0	არ არის ცნობილი
სამშენებლო მასალები და ქვები	1 ტონა – 1 მ ³	არ არის ცნობილი	0.14 – 8 (გააჩნია რესურსის ტიპს)

წყარო: გარემოს ეროვნული სააგენტო

გადასახადები

კომპანიებმა უნდა გადაიხადონ სამი ტიპის გადასახადები: მოგების გადასახადი (15%), დღგ (18%), ქონების გადასახადი (ქონების წლიური ღირებულების 1%), სადაც სპეციფიკურ დონეს ყოველწლიურად განსაზღვრავს შესაბამისი მუნიციპალიტეტი, რომელიც, ასევე, იღებს გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალს.

4. წილის შესახებ კანონის მიზნები

წილისეულის შესახებ კანონის მიზანი უნდა იყოს სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მიზნების შესრულება. ზოგადად, სასარგებლო წილისეულის სექტორისთვის განსაზღვრულია შემდეგი 4 მიზანი²:

- ეკონომიკური ზრდა და რესურსების ეფექტიანი გამოყენება
- ფისკალური შემოსავლები (რესურსების მოპოვება)
- გარემოზე ნეგატიური ეფექტის შემცირება
- თაობათაშორისი სამართლიანობა

წინამდებარე ნაშრომის თემა არის პირველი ორი მიზანი: კანონმდებლობამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას და უზრუნველყოს, რომ რესურსები მოიპოვება იმ შემთხვევაში, თუ მათი მოპოვების ხარჯები არ აღემატება საბაზრო ფასს და არ საჭიროებს არავითარ სუბსიდიებს. რესურსების მოპოვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფისკალური შემოსავლებისთვისაც. ბუნებრივ რესურსებს თან ახლავს *რესურსების იჯარა*, დამატებითი მოგება, რადგან მისი მწირი და სასრული ბუნების გამო, ყოველთვის შეიძლება რესურსების გაყიდვა იმაზე ძვირად, ვიდრე მოპოვება ღირს. გარდა ამისა, რესურსები ითვლება მთელი ერის და არა რომელიმე კონკრეტული ინდივიდის საკუთრებად. ამიტომ ინვესტორებისგან რესურსების იჯარა უნდა მივიღოთ გადასახადებითა და სხვა საშემოსავლო საშუალებებით. ფისკალური შემოსავალი ხშირად არის სასარგებლო წილისეულის მოპოვების მთავარი ეკონომიკური სარგებელი, რადგან სასურველი, თუმცა შეუძლებელია, რომ რესურსების მოპოვებამ მიგვიყვანოს სხვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობამდე (როგორცაა ღირებულებათა ჯაჭვის შემდგომი ფაზები) ქვეყანაში³.

ეკოლოგიური დაცვისა და თაობათაშორისი სამართლიანობის მიზნები არ არის ამ ნაშრომის განხილვის თემა. სასარგებლო წილისეულის მოპოვების ეკოლოგიური ეფექტები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს და უნდა მივიჩნიოთ, რომ ინვესტორები არბილებენ და აკომპენსირებენ ამ ეფექტებს, მაგრამ ეკოლოგიური დაცვა და ეფექტების შერბილება, მეტწილად, რეგულირდება იმ საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში, რომელსაც ეს ნაშრომი არ ეხება. უფრო მეტიც, საქართველოს მთავრობა ვალდებულია, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების ფარგლებში, დანერგოს, ევროკავშირის გარკვეული ეკოლოგიური სტანდარტები. თაობათაშორისი სამართალი გულისხმობს, თუ რა რაოდენობის ეროვნული სიმდიდრე (ფინანსური, ეკონომიკური თუ ბუნებრივი) გროვდება ან იფიტება სასარგებლო წილისეულის მოპოვების დროს და, შესაბამისად, არის ხელმისაწვდომი მომავალი თაობისთვის. ეკოლოგიური კანონმდებლობისა და ფისკალური შემოსავლების გამოყენების უმთავრესი მიზანია, უზრუნველყოს, რომ სასარგებლო წილისეულის მოპოვება არ არის მოკლევადიანი საქმიანობა და რომ გრძელვადიანი უარყოფითი ეფექტები მინიმუმამდეა შემცირებული.

² შდრ. რ. ბოდვეი და ფ. ფლეტერსი (1993), ბუნებრივი რესურსების დაბეგვრა: პრინციპები და პოლიტიკის საკითხები, მსოფლიო ბანკის კვლევითი ნასრომი 1210. ასევე, ე. მეიერი და დ. ლუდვიგი (2011), Das Potential der bergrechtlichen Förderabgabe für Ressourcenschutz und Länderfinanzen, FOES Discussion Paper 12/2011

³ შდრ. გერმანიის განვითარების ინსტიტუტი, 2011, Die Besteuerung nicht erneuerbarer Ressourcen in Entwicklungsländern

5. არსებული საკანონმდებლო ბაზის შეფასება

არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის ჯეროვნად შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ჩარჩოს ტექსტობრივი ბაზა, ლიცენზირების პრაქტიკული განხორციელება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საქმიანობის (შესწავლა და მოპოვება) მონიტორინგი და გადასახადები. ჩვენი შეფასება იყოფა ორ ნაწილად, თავიდან განვიხილავთ ლიცენზიის გაცემის პროცესს (მაგ.: როგორ მოიპოვებენ ინვესტორები პოტენციური საბადოს შესახებ ინფორმაციას). აღნიშნულ ნაწილში შეფასების მთავარი მიზანი არის, გაარკვიოს, რამდენად უწყობს ხელს კანონი როგორც ეკონომიკურ საქმიანობას, ისე ფისკალური შემოსავლების მიღებას.

თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ ერთი ასპექტი. ამჟამად ერთი და იგივე კანონი არეგულირებს სხვადასხვა ტიპის რესურსებს, რომლებიც შეიძლება დაიყოს ორ ფართო კატეგორიად: ქვები/სამშენებლო მასალები და საექსპორტოდ განკუთვნილი ლითონის მინერალები. ამ ნაშრომში ჩვენ აქცენტს ვაკეთებთ საექსპორტო ლითონებისა და მინერალების მოპოვებაზე და აღნიშნული საქმიანობის კანონმდებლობის მიზანშეწონილობაზე. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ ტიპის მოპოვება, ერთის მხრივ, ეკონომიკურად უფრო მნიშვნელოვანია (მასალების ფასებისა და შესაძლო ფისკალური შემოსავლის გამო) და, მეორეს მხრივ, უფრო რთული რეგულირების თვალსაზრისით. მართლაც, მოგვიანებით ჩვენ წარმოვადგენთ რეკომენდაციას, რომ ამ ორ კატეგორიას უნდა არეგულირებდეს ნაწილობრივ დამოუკიდებელი კანონმდებლობა.

ლიცენზიის გაცემა

ლიცენზიის გაცემის პროცესთან დაკავშირებული ერთ-ერთი რთული ასპექტი არის პოტენციური ინვესტორების წვდომა პოტენციური საბადოების შესახებ არსებულ ინფორმაციაზე. ამჟამად საბადოებზე არსებული ყველა ინფორმაცია არ არის ცენტრალიზებულად ხელმისაწვდომი. თუმცა, ვინაიდან საბადოების შესწავლა ძვირადღირებული საქმიანობაა, არსებული გეოლოგიური მონაცემები ფასდაუდებელია ინვესტორებისთვის. საბადოებზე გარკვეული ინფორმაციის არსებობა გადამწყვეტია ინვესტორების მოზიდვისას, თუნდაც ეს ინფორმაცია არასრული იყოს. საქართველოს საბადოების შესახებ არსებული მნიშვნელოვანი გეოლოგიური მონაცემები მიღებულია საბჭოთა პერიოდში ჩატარებული კვლევებიდან, მაგრამ ეს ინფორმაცია არც უფასოა და გაურკვეველია, რამდენად აქვს მთავრობას ყველა მონაცემის ჩანაწერი. ეს არის გაუმართლებელი დაბრკოლება ინვესტორებისთვის. უკეთესი, უფასო და ცენტრალური წვდომა მონაცემებზე საშუალებას მისცემს ინვესტორებს, შეამცირონ რისკები და ხარჯები რეალური მოპოვების პროცესის დაწყებამდე. ამან, შედეგად, შეიძლება მიგვიყვანოს მეტ ინვესტიციებსა და მეტ ფისკალურ მოგებამდე. არსებულ ინფორმაციაზე წვდომის სიმწირე, შედეგად, შეიძლება იყოს ერთი მიზეზი სექტორში ინვესტიციების სიმცირისა.

დასკვნა 1: უფასო და ცენტრალიზებულად ხელმისაწვდომი გეოლოგიური მონაცემებისა და პოტენციური საბადოების შესახებ სხვა ინფორმაციის სიმწირე არის პოტენციური დაბრკოლება ინვესტიციებისთვის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სექტორში.

მოსაკრებლები და გადასახადები

სახელმწიფოსთვის გადასახდელი გადასახადების სტრუქტურა უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას, რათა თანხვედრაში იყოს ეკონომიკური ზრდისა და ფისკალური შემოსავლის მიზნებთან: (1) მან არ უნდა დააკისროს უსარგებლო ტვირთი მომპოვებელ კომპანიებს, რომელთაც შეიძლება ხელი შეუშალოს ინვესტიციების შემოსვლას, (2) უნდა იყოს ძლიერი კომპანიების მიერ გადასახადებისგან თავის არიდების მცდელობების შემთხვევაში. პირველი პირობა ეხება არა

მხოლოდ ფისკალური ტვირთის აბსოლუტურ დონეს, არამედ გადახდის პერიოდულობასაც (და მის სენსიტიურობას კომპანიების შემოსავლებისა და მოგებისადმი). მეორე პირობა გადამწყვეტია, რადგან ძვირადღირებულ ლითონის მინერალებს ხშირად მოიპოვებენ მსხვილი, მულტინაციონალური კომპანიები, რომელთაც უკეთესი ბერკეტები აქვთ გადასახადებისგან თავის არიდებისთვის (მაგ.: შიდა გადარიცხვების ფასები).

ლიცენზიის ხარჯები

ფასებისა და გადასახადების არსებული სტრუქტურის პირველი თავისებურება არის მოპოვების ლიცენზიის აუქციონები მინიმალური ფასებით. ზოგადად, ეკონომისტები ხშირად იყენებენ აუქციონებს იმის გასარკვევად, რამდენად უდირს მყიდველს ესა თუ ის აქტივი. თეორიულად, აუქციონი მომგებიანი საშუალებაა იმის გასაგებად, რა რაოდენობის რესურსის იჯარას უნდა ველოდეთ ინვესტორისგან. რესურსების იჯარა უდრის რესურსების მოსალოდნელ გასაყიდ ფასს მინუს ინვესტორის ხარჯები და მინიმალური საოპერაციო მარჟა. ბოლო ორი უცნობია მთავრობისთვის და აუქციონი, თეორიულად, მიმზიდველი საშუალებაა იმის განსასაზღვრად, რა შემოსავალი შეიძლება მიიღოს მთავრობამ ინვესტორისგან. თუმცა საჭიროა, სულ მცირე, ორი მყიდველი, რომ აუქციონმა იმუშაოს. თითქმის არასდროს ასე არ ხდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისთვის საჭირო ლიცენზიის აუქციონების შემთხვევაში. შედეგად, ქართული აუქციონის სისტემა სხვა არაფერია, თუ არა ფიქსირებული თანხა (ადმინისტრაციულად განსაზღვრული მინიმალური ფასი), რომელსაც წინასწარ იხდის ინვესტორი.

ასეთი წინასწარი გადახდა წარმოადგენს პრობლემას ზრდისა და ფისკალური შემოსავლის მიღების თვალსაზრისით. ჩვენ მიერ განხილული რესურსების მოპოვება უაღრესად ბევრ კაპიტალს მოითხოვს და ინვესტორს უხდება დიდი თანხების დახარჯვა მდაროს მოსაწყობად და წარმოების დასაწყებად. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ინვესტორის ლიკვიდურობა ინვესტიციის საწყის ეტაპზე მაღალი იქნება, მაღალი წინასწარი გადასახადები კი არის სრულიად უსარგებლო ტვირთი პროექტის ამ ეტაპზე. შემოსავლების პროექტის შემდგომ ეტაპებზე მიღებისგან განსხვავებით, წინასწარ გადახდას არ აქვს არავითარი ეკონომიკური დასაბუთება, რადგან პროექტის შემდგომ ეტაპზე ინვესტორი უკვე იღებს შემოსავალს გაყიდული რესურსებიდან. მინიმალური ფასის (ტექნიკურად როიალტების მომავალი ნაკადის წმინდა მიმდინარე ღირებულება 15%-იანი ფასდაკლებით) გამოთვლა დაუსაბუთებელია, რადგან არ არსებობს მიზეზი, რატომ უნდა გადაიხადოს ინვესტორმა მომავალი გადასახადის წმინდა მიმდინარე ღირებულება წინასწარ. თუ წინასწარი გადახდის მიზანი არის ინვესტორის მიერ ჩატარებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფა (იმის უზრუნველყოფა, რომ ლიცენზია გადაეცემა მხოლოდ ფინანსურად ლიკვიდურ ინვესტორს, რომელიც განახორციელებს პროექტს), ამ საშუალების გამოყენების საფასური ის არის, რომ ვაფრთხობთ სხვა მხრივ პოტენციურ ინვესტორს. როგორც წესი, სხვა ქვეყნები იყენებენ ძალიან მარტივ სისტემას: ავსტრალიაში (იხ. შემთხვევის ანალიზი დანართში) ან კანადაში, რომელთაც აქვთ საერთაშორისო დონეზე აღიარებული კანონი წიაღის შესახებ, არ გამოიყენება აუქციონის სისტემა, მაგრამ პირველი დაინტერესებული ინვესტორი იღებს ლიცენზიას.

დასკვნა 2: აუქციონების მინიმალური ფასი, რომელშიც, როგორც წესი, ერთი მყიდველია, აბრკოლებს ინვესტიციების ჩადების პროცესს, ფისკალური შემოსავლების მოგვიანებით შეგროვებასთან შედარებით. ეს ზრდის ინვესტიციის ადრეულ ეტაპზე მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტორების ფისკალურ ტვირთს.

უფრო მეტიც, საქართველოში მოქმედი შესწავლის გადასახადები (500 ლარი ჰექტარზე) ძალიან მაღალია საერთაშორისო სტანდარტთან შედარებით, (იხ. ცხრილი #3). ვინაიდან შესასწავლი

ტერიტორია შეიძლება ასობით ჰექტარს მოიცავდეს, ინვესტორისთვის ეს უკვე უზარმაზარი ტვირთია, რადგან წარმოება ჯერ არ დაუწყია და არ იღებს შემოსავალს. ეს კიდევ ერთი პოტენციური დაბრკოლებაა ინვესტიციებისთვის, საჯარო შემოსავლების მოკრების ნაკლებად დაბანსებულ ფორმებთან შედარებით.

დასკვნა 3: გამოყენების ლიცენზიის საფასური (500 ლარი ჰექტარზე) არის ძალიან მაღალი საერთაშორისო სტანდარტთან შედარებით და კიდევ უფრო ზრდის ინვესტორების მიერ გადასახდელ მნიშვნელოვან წინასწარ გადასახადებს.

როიალტები: მოპოვებისა და კანონით გათვალისწინებული გადასახადები

საქართველოში შესწავლისა და მოპოვების ლიცენზიების წინასწარ გადასახადებთან ერთად ინვესტორებს უწევთ ორი სახის როიალტის გადახდა: „მოპოვების გადასახადი“ და „კანონით გათვალისწინებული გადასახადი“. ამას ემატება მოგების გადასახადი (15%) და დღ. საერთაშორისო პრაქტიკაში მოგების გადასახადი და დღ. ემატება როიალტებს, მიუხედავად იმისა, რომ დედუქციის წესები ყველგან სხვადასხვაა. რესურსების იჯარა არის ეკონომიკური გარანტია, ქვეყანას ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის შემოსავალი (მაგ.: როიალტი, მოგების გადასახადი). იჯარა ჩვეულებრივი მოვლენაა სასარგებლო წიაღისეულის სექტორში, რომელმაც სარგებელი უნდა მოუტანოს მოსახლეობას, როგორც ამ რესურსების მფლობელს.

ცხრილი #3

როიალტების, მოსაკრებლებისა და მოგების გადასახადის შედარება საქართველოსა და სხვა ქვეყნებში⁴

	როიალტი	როიალტის ბაზა	შესწავლის მოსაკრებელი	მოგების გადასახადი
საქართველო	0.003-5% ⁵	დაგეგმილი მოპოვების მოცულობა	მინიმუმ 500 ლარი ჰექტარზე (≈ 210 აშშ დოლარი)	15%
დასავლეთ ავსტრალია	2.5-7.5%	მოპოვებული რესურსების მოცულობა	მინიმუმ 30 ავსტ. დოლარი ჰექტარზე (≈22 აშშ დოლარი)	30%
კვებეკი (კანადა)	16%	დადგენილი მოგება დაბეგვრამდე	მხოლოდ ადმინისტრაციული გადასახადები	26.9%
ჩილე	0-14%	დადგენილი მოგება დაბეგვრამდე	მინიმუმ 0.005 MTU ჰექტარზე (≈0.18 აშშ დოლარი)	20%
სამხრეთ აფრიკა	0.5-7%	დადგენილი შემოსავლები	მინიმუმ 1 ZAR ჰექტარზე (≈0.07 აშშ დოლარი)	28%

წყარო: ეროვნული მთავრობები, PWC, საკუთარი გამოთვლები.

⁴ გაითვალისწინეთ, რომ ეს არის ეფექტური და არა დაკანონებული გადასახადებისა და განაკვეთების შეჯამება. პრაქტიკაში, გადასახადები მნიშვნელოვნად განსხვავებულია. როიალტები საქართველოსი არის ლარში, პროცენტი დათვლილია მსოფლიო ბაზრის მიმდინარე სასაქონლო ფასებზე დაყრდნობით.

⁵ განაკვეთების გარდა, მინიმუმ, მოსალოდნელი როიალტის ნაკადის წმინდა მიმდინარე ღირებულება, როგორც ლიცენზიის ხარჯი, გადახდილი უნდა იყოს წინასწარ.

ცხრილში #3 წარმოდგენილია საქართველოსა და რამდენიმე მნიშვნელოვანი ექსპორტიორი ქვეყნის როიალტის განაკვეთების, ბაზების, შესწავლის მოსაკრებლისა და მოგების გადასახადის დონეების შედარება. გაითვალისწინეთ, რომ ეს არის მხოლოდ საწყისი და არა ეფექტური ფასების შედარება, რადგან საგადასახადო ბაზების ზუსტი სპეციფიკაციები, გამოქვითვის უფლება და სხვ. ყველგან სხვადასხვაა. ცხრილიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს, შესწავლის მოსაკრებელს თუ არ ჩავთვლით, როიალტებსა და გადასახადებზე შედარებით დაბალი ფასები აქვს. ასეა, რადგან როიალტების ფასები დათვლილია ამჟამად დაბალი სასაქონლო ფასებით (ლარი/ტონაზე). გამოდის, დაბალი ინვესტიციების მიზეზი ქართული სასარგებლო წიაღისეულის სექტორში, სავარაუდოდ, არ არის ჭარბი გადასახადები და როიალტების განაკვეთი. პირიქით, თუ ინვესტიციებთან დაკავშირებული სხვა დაბრკოლებები აღმოიფხვრება, როიალტების განაკვეთი და ფისკალური შემოსავლები შეიძლება გაიზარდოს.

დასკვნა 4: როიალტებისა და მოგების გადასახადის მთლიანი ფისკალური ტვირთი ქართული სასარგებლო წიაღისეულის სექტორზე შედარებით დაბალია საერთაშორისო სტანდარტთან შედარებით და სავარაუდოდ არ არის ინვესტიციების ნაკლებობის მიზეზი.

აქ იკვეთება ქართული სისტემის ორი თავისებურება: (1) როიალტი არის აბსოლუტური თანხა მოპოვებული რესურსის ტონაზე და არა გასაყიდი ფასის ან მოგების პროცენტი, როგორც ქვეყნების უმრავლესობაში. მსგავსი სისტემის უპირატესობა ის არის, რომ მისი გამოყენება შიდა სატრანსფერო გადარიცხვების გზით გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით შეუძლებელია. ის ბევრად უფრო ადვილი სამართავია შესაბამისი უწყების მიერ (საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტო), რადგან მოპოვებული მოცულობის ადეკვატური შეფასების საშუალებას იძლევა. სისტემის უარყოფითი მხარე ის არის, რომ არ არის მგრძობიარე საბაზრო ფასების ცვლილებებისადმი, რაც შეუძლებელს ხდის სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიების ეფექტური გადასახადის განაკვეთის პროგნოზირებას. თუ რესურსის საბაზრო ფასი დაეცემა, „გადასახადის განაკვეთი“ (როიალტი გაყოფილი საბაზრო ფასზე) იზრდება. მთავრობის შემოსავალი რჩება სრულად პროგნოზირებადი, ინვესტორს კი აქვს რისკი, რომ დაბალი საბაზრო ფასების შემთხვევაში, როიალტის გადასახადი მნიშვნელოვნად გაიზარდოს. რესურსის საბაზრო ფასის ზრდის შემთხვევაში, მთავრობა იქნება წაგებული, რადგან ის ვერ მიიღებს წილს სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიების გაზრდილი მოგებიდან როიალტის სახით. ვინაიდან როიალტის დონე 2011 წლის შემდეგ არ განახლებულა, აშკარაა, რომ არსებული სისტემა ვერ ახერხებს როიალტის დონის მორგებას საბაზრო ფასების პირობებისადმი.

დასკვნა 5: როიალტის დონის განსაზღვრას ლარში აქვს უპირატესობა საგადასახადო აღსრულების თვალსაზრისით, მაგრამ ეს გულისხმობს სიტემის მოუქნელობას, ადეკვატური რეაგირება მოახდინოს რესურსების საბაზრო ფასების ცვლილებაზე, რაც არაპროგნოზირებადს ხდის როიალტის გადასახადსა და კომპანიების შემოსავლებს შორის კავშირს. ამასთან ერთად, სახელმწიფო გადასახადების გაზრდის შემთხვევაში, იზრდება არაადეკვატური რესურსების იჯარის რისკი.

მეორე თავისებურება ის არის, რომ როიალტი მიბმულია დაგეგმილი და არა რეალური მოპოვების მოცულობაზე. ეს პრობლემაა, რადგან ეს ნიშნავს, რომ ინვესტორის მთლიანი საგადასახადო ტვირთი ფიქსირებულია, მიუხედავად იმ ფაქტორებისა, რაც მომპოვებელი კომპანიების კონტროლს მიღმაა. ამ პრაქტიკას ორი მიზეზი აქვს: (1) ის მანიპულაციებისთვის ნაკლებ ადვილს ტოვებს და ძალიან მარტივი განსახორციელებელია ადმინისტრაციული თვალსაზრისით და მოითხოვს მცირე ადმინისტრაციულ ხარჯებს. (2) მინიმალური გადასახადით აჯარიმებს ლიცენზიის მფლობელს, რომელიც არ მოიპოვებს ლიცენზირებულ რესურსს, მაგრამ ამით აფერხებს

სხვა ინვესტორებს, რომელთაც არ აქვთ საკმარისი ფინანსური და ტექნიკური რესურსები, იყიდონ ლიცენზია სხვადასხვა სპეკულაციური მიზნებისთვის.

თუმცა ეს ორი მიზეზიც კი არ არის საკმარისი პრაქტიკის გასამართლებლად: ადმინისტრაციულმა სიმარტივემ შეიძლება გაამართლოს მსგავსი პრაქტიკა ისეთი შედარებით იაფი რესურსებისთვის, როგორცაა სამშენებლო მასალები, სადაც მუნიციპალიტეტის მიერ მცირე საბადოებზე მოპოვებული რესურსების ზედმიწევნითი მონიტორინგისთვის გაწეული ხარჯები შეიძლება მათ მოსალოდნელ მცირე ფისკალურ შემოსავლებთან შედარებით არაპროპორციული იყოს. მაგრამ ეს არ ეხება მვირადღირებულ რესურსებს მაღალი მოსალოდნელი როიალტის გადასახადებით. ქვეყნების უმრავლესობას აქვს შედარებით გამართული სისტემები მომპოვებელი მსხვილი კომპანიების პროდუქტებისა და მოგების მონიტორინგისთვის. ინვესტორების მიერ ხარისხის დასაცავად, როგორც წესი, იყენებენ პრეკვალიფიკაციის სისტემას, რომელიც ამოწმებს, რამდენად შეუძლია ინვესტორს საჭირო აქტივობების განხორციელება, ან ე. წ. “use or lose” დებულებას ლიცენზიაში, რომლის თანახმადაც, გარკვეული პერიოდის შემდეგ რესურსების გარკვეული რაოდენობის არმოპოვების შემთხვევაში, ლიცენზია უქმდება.

დაგეგმილი მოპოვების მოცულობის მიხედვით მინიმალური როიალტის დაწესებით იზრდება მომპოვებელი კომპანიების წინაშე არსებული საბაზრო ფასების რისკი. თუ გარკვეული რესურსის საბაზრო ფასი მკვეთრად დაეცემა ერთ წელიწადში, კომპანიის შემოსავლები და მოგებაც მცირდება, რადგან საგადასახადო ტვირთი არ იცვლება შემოსავლების შემცირების შესაბამისად. კომპანიას არ აქვს სტიმული, შეცვალოს წარმოების მოცულობა, რადგან გადასახადი მაინც უნდა გადაიხადოს. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს როიალტის არსებული განსაზღვრება (ლარი/ტონა). ამ საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში მთავრობის ფისკალური შემოსავლები უაღრესად პროგნოზირებადია, კომპანიებს კი რჩებათ მაღალი რისკები. ეს განაპირობებს ინვესტიციების ნაკლებობას და, შესაბამისად, უფრო დაბალ ფისკალურ შემოსავლებს გრძელვადიან პერიოდში.


დასკვნა 6: როიალტის გადასახადების მიზმა დაგეგმილი და არა რეალური მოპოვების მოცულობასთან ტვირთად აწევს მომპოვებელ კომპანიებს, რომლებიც დგანან საბაზრო ფასების განვითარებასთან დაკავშირებული მაღალი რისკების წინაშე.

ქართული სასარგებლო წიაღისეულის სექტორიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები

სასარგებლო წიაღისეულის სექტორიდან ფისკალური შემოსავლების მიღების არსებული სისტემა პრიორიტეტს ანიჭებს მთავრობის ადრეულ და უაღრესად პროგნოზირებად შემოსავლებს და არა საჯარო და კერძო სექტორებს შორის რისკების განაწილებას და ფისკალური შემოსავლების შეგროვებას კომპანიის საშემოსავლო მდგომარეობიდან გამომდინარე. ამიტომ ეკონომიკური აქტივობაცა და მთლიანი დაგეგმილი ფისკალური შემოსავლებიც შეიძლება შემცირდეს ამ შემოსავლების მიღებისადმი ასეთი რისკების მოძულე მიდგომით. ერთის მხრივ, ამ რეგულაციამ შეიძლება შეაფერხოს ინვესტიციები, რადგან შეამცირებს სექტორის მთლიან საქმიანობას, მაგრამ, მეორეს მხრივ, ფისკალური შემოსავლები შეიძლება შემცირდეს, რადგან გადასახადები და როიალტის დონე შედარებით დაბალია ნაწილობრივ კომპენსირებული ინვესტორებისთვის, რომელთაც იტვირთეს რისკი. მართლაც, გრაფიკი #2 ნაჩვენებია, რომ სასარგებლო წიაღისეულის სექტორის ფისკალური შემოსავლები შედარებით დაბალია საქართველოში.

გრაფიკი #2

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებიდან მიღებული შემოსავლები (გარდა მოგების გადასახადისა)



წყარო: გარემოს ეროვნული სააგენტო

აუქციონებისა და როიალტებიდან მიღებული შემოსავალი არის მხოლოდ დაახლოებით 30 მილიონი ლარი წელიწადში, რაც წლიური საბიუჯეტო შემოსავლების მხოლოდ 0.4%-ია. იმის გათვალისწინებით, რომ ამ სექტორზე მოდის მშპ-ის დაახლოებით 1% და უნდა ახასიათებდეს იჯარის შედარებით მაღალი ფასები, ეს მოსალოდნელზე დაბალი ღირებულებაა და მიანიშნებს, რომ წლიური ფისკალური ტვირთი მართლაც შედარებით მცირეა, არა ნორმატიულ საგადასახადო (როგორც მოცემულია ცხრილში #3), არამედ ეფექტურ საგადასახადო განაკვეთშიც. უფრო მეტიც, ნათელია, რომ ლიცენზიებიდან მიღებული ფისკალური შემოსავლები უკიდურესად დაბალია ბოლო 4 წლის განმავლობაში (დაახლოებით 0.2 მილიონი ლარი წელიწადში). არც ერთი მსხვილი ლიცენზია არ გაცემულა ამ წლების განმავლობაში.

სასარგებლო წიაღისეულის სექტორიდან მიღებული ფისკალური შემოსავლების შესახებ არსებული მონაცემები ამყარებს მოსაზრებას, რომ არსებული სისტემა ვერ ასრულებს ვერც ერთ მნიშვნელოვან მიზანს (ეკონომიკური საქმიანობა და ფისკალური შემოსავლები), მომპოვებელი კომპანიებისთვის დაწესებული წინასწარი და პროგნოზირებადი გადასახადების სიჭარბის გამო.

დასკვნა 7: სასარგებლო წიაღისეულის არსებული საკანონმდებლო სისტემა აფერხებს ინვესტიციებს. იგი მიუღებელია სექტორიდან მიღებული ფისკალური შემოსავლების ზრდის თვალსაზრისითაც. მომპოვებელ კომპანიებს უწევთ დიდი რისკების გაწევა, დაწყებული საბადოების შესახებ არსებული გეოლოგიური ინფორმაციით სიმწირით, დამთავრებული გაზრდილი საბაზრო ფასების რისკით. ფისკალური ტვირთის წინასწარი წესით გადახდაც უსარგებლოა. არსებული სისტემით, სასარგებლო წიაღისეულის სექტორი მომპოვებელ კომპანიებს უყურებს როგორც დამფინანსებლებს და არა საგადასახადო შემოსავლის წყაროს, რომლისგან მიღებული გადასახადებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ საქმიანობასთან.

6. რეკომენდაციები საქართველოსთვის

წინა თავიდან ცხადია, რომ საქართველოს არსებული საკანონმდებლო ჩარჩო არის არაადეკვატური როგორც ეკონომიკური ზრდის, ისე ფისკალური შემოსავლების თვალსაზრისით. რეკომენდაციების შემუშავებისას ჩვენ მხედველობაში მივიღეთ რამდენიმე გარემოება:

- შესწავლილი უნდა იქნას როგორც სასარგებლო წიაღისეულის სექტორში ინვესტიციების მემვეობით ეკონომიკური ზრდა რომელსაც, იდეალურ შემთხვევაში, მოყვება მოპოვებული რესურსების დამატებითი ღირებულების შემდგომ ეტაპზე ინვესტიციები, ისე ფისკალური შემოსავლების მიღების გზები. ბევრ ქვეყანაში ზრდის გავლენა შეზღუდულია და უზრუნვეყოფილი უნდა იყოს, რომ ქვეყანა იღებს საკმარის ფისკალურ სარგებელს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებიდან.
- ლითონის მინერალების მოპოვება მოითხოვს უაღრესად დიდ კაპიტალს და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რომელსაც, როგორც წესი, მსხვილი, მულტინაციონალურ კომპანიები ახორციელებენ. ასეთი კომპანიების დაბეგვრა რთულია, რადგან მათ აქვთ საჭირო უნარი, შეიმსუბუქონ საგადასახადო ტვირთი (მაგ.: შიდა გადარიცხვების ფასები). როგორც კანონმდებლობა, ისე გადასახადების ამკრეფი ინსტიტუციები უნდა იყოს ადეკვატურად აღჭურვილი, რომ გააკონტროლონ შესაბამისი საგადასახადო ბაზა (წარმოების მოცულობა, ღირებულება ან მოგება) რთულ გარემოში.
- მოსალოდნელია, რომ ინვესტორები იქნებიან აქტიური საერთაშორისო დონეზე, ამიტომ საკანონმდებლო სისტემა და მათთვის დაწესებული ფისკალური ტვირთიც იმგვარად უნდა იყოს დადგენილი, რომ პასუხობდეს საერთაშორისო სისტემასა და ღირებულებებს.
- გარდა იმისა, რომ საქართველო უნდა გახდეს მიმზიდველი საინვესტიციო ადგილი მომპოვებელი კომპანიებისთვის და ქვეყანამ უნდა მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი რესურსების იჯარიდან, კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ისიც, რომ ინვესტორებს, რომლებიც ყიდულობენ ლიცენზიას, რეალურად აქვთ ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობა, განახორციელონ პროექტები, რათა თავიდან ავიცილოთ ლიცენზირებული რესურსების უქმად ყოფნა.

ჩვენ აქ წარმოვადგენთ დეტალურ რეკომენდაციებს, რომელთა მიზანია როგორც ეკონომიკური, ისე ფისკალური მიზნების შესრულება. წიაღის შესახებ კანონისა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ორგანოს რეფორმის შედეგი უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულის სექტორში ეკონომიკური საქმიანობისა (ეს გუსლიხმობს ახალ მსხვილ პროექტებს) და ფისკალური შემოსავლების გრძელვადიანი ზრდა. ამიტომ სასარგებლო წიაღისეულის სექტორის გადასახადების დაბალი პროგნოზირებადობა და წინასწარი გადასახადები გარკვეულწილად მისაღები უნდა იყოს, რადგან სექტორი უნდა განვიხილოთ როგორც საგადასახადო შემოსავლების წყარო და არა დამფინანსებელი ან ბანკი, როგორც ამ ეტაპზე ეფექტურად ხდება. ამავე დროს, უნდა შემუშავდეს მკაცრი კანონები, რომლებიც დააბალანსებს ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებს. ეს შეიცავს დებულებებს, რომელიც ეხება მომპოვებელი კომპანიების⁶ მიერ გამოწვეული ეკოლოგიური გავლენის შერბილებასა და კომპენსაციას და განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც ეკოლოგიური მიზეზები გამო შეიძლება შეიზღუდოს პროექტის განხორციელება.

⁶ საერთაშორისო გამოცდილებამ აჩვენა, რომ მნიშვნელოვანია, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროექტისას მოხდეს ეკოლოგიური კომპენსაციისთვის საჭირო თანხებისა და აქტივობების აკუმულირება, რადგან პროექტის დასრულების შემდეგ, კომპანიები ხშირად გადახდისუნაროდ სცნობენ თავს.

რეკომენდაცია 1: ცალ-ცალკე კანონმდებლობა უნდა არსებობდეს ექსპორტისთვის განკუთვნილი ლითონის მინერალების მსხვილმასშტაბიანი მოპოვებისა და უფრო მცირემასშტაბიანი მოპოვებისთვის.

არსებული სისტემა ცდილობს, დაარეგულიროს როგორც საექსპორტო დანიშნულების მსხვილი რესურსების მოპოვება (მაგ.: მანგანუმი და სპილენძი), ისე მცირე საბადოებიც, სადაც მოიპოვებენ სამშენებლო მასალებს (მაგ.: ქვა). დამოუკიდებელი კანონმდებლობის ქონა იძლევა უკეთესი რეგულირების საშუალებას. ადეკვატური დაბეგვრის მიზნით საგადასახადო ორგანოებმა აქტიურად უნდა შეამოწმონ მსხვილი, ხშირად მულტინაციონალური კომპანიებს მიერ მოპოვებული რესურსების მოცულობა და მისგან მიღებული მოგება. შედარებით მცირე კომპანიებისთვის შემუშავებულმა მარტივმა მეთოდოლოგიამ (შესაძლებელია წინასწარ შეთანხმებული გეგმის გამოყენება) შეიძლება შეამციროს მთავრობისა და კომპანიების ადმინისტრაციული ხარჯები ისე, რომ ნეგატიური გავლენა არ მოახდინოს სახელმწიფოს შემოსავლებზე და არ შეუქმნას დამატებითი რისკები კომპანიებს.

რეკომენდაცია 2: საქართველომ უნდა შეიმუშავოს ლითონის მინერალების მოპოვების ეროვნული სტრატეგია, რომლის მიზანიც იქნება საქართველოს ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენების უზრუნველყოფა. სტრატეგია შეიცავს 9 ძირითად დებულებას:

1. ბუნებრივი რესურსები უნდა დარჩეს საზოგადოების საკუთრებაში და ინვესტორებს გადაეცემოდეს ლიცენზიით.
2. რესურსების მარაგზე არსებული ყველანაირი ინფორმაცია უნდა იყოს თავმოყრილი და უფასოდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის.
3. გარემოს ეროვნულმა სააგენტომ Invest in Georgia-ს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებთან ერთად უნდა შეარჩიოს, რომელ საბადოებს გაუწიოს განსაკუთრებული პოპულარიზება ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.
4. თუ ინვესტორები დაინტერესდებიან საბადოებით, იქნება ეს საკუთარი ინიციატივით თუ შესაბამისი სამსახურების საინვესტიციო კამპანიის ფარგლებში, ეს ინტერესი უნდა გასაჯაროვდეს საშეღავათო პერიოდში, რომლის განმავლობაშიც სხვა ინვესტორებსაც შეეძლებათ საკუთარი ინტერესის დაფიქსირება.
5. თუ რამდენიმე ინვესტორი ერთდროულად დაინტერესდება, უნდა ჩატარდეს აუქციონი მინიმალური ფასის გარეშე, რათა გადაწყდეს, რომელი ინვესტორი იყიდის ლიცენზიას. თუ დაინტერესებულია მხოლოდ ერთი ინვესტორი, ლიცენზია გადაეცემა უსასყიდლოდ.
6. გამოყენების გადასახადი მკვეთრად უნდა შემცირდეს.
7. ლიცენზირებული რესურსების არგამოყენების თავიდან ასაცილებლად, მთავრობამ ინვესტორებს უნდა დაუწესოს პრეკვალიფიკაციის პირობები, რათა შეამოწმოს მათი ფინანსური და ტექნიკური რესურსები, რაც საჭიროა შესაბამისი პროექტის განხორციელებისთვის. უფრო მეტიც, ლიცენზია უნდა შეიცავდეს ე. წ. “use or lose” დებულებას, რომელიც ბათილად გამოაცხადებს ლიცენზიას, თუ არ მოხდება საჭირო რაოდენობის რესურსების მოპოვება.
8. უნდა არსებობდეს გამჭვირვალე წესები მიწის მფლობელთა ქონების კონფისკაციასა და სამართლიან კომპენსაციასთან დაკავშირებით.
9. გარემოს ეროვნული სააგენტო უნდა იყოს აღჭურვილი შესაბამისი პერსონალით, რესურსებითა და ფინანსებით, რათა შეძლოს ზემოთ აღწერილი პროცესების მართვა.

ამ სტრატეგიამ მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოახდინოს ინვესტორების მოზიდვაზე. ეს გულისხმობს პოტენციური ინვესტორების მიერ ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესებას, რისი მიზანიც არის მეტი ინვესტორის მოზიდვა და მათ წინაშე არსებული რისკების შემცირება. რაც უფრო მცირეა ინვესტორების წინაშე არსებული ე.წ. ex-ante რისკები, მით უფრო მეტად ენდომებათ მათ ინვესტიციების ჩადება, მიუხედავად მოპოვების პერიოდისთვის დამახასიათებელი მაღალი გადასახადებისა. უფრო მეტიც, ეს გულისხმობს ბევრად უფრო პროაქტიულ მიდგომას, როდესაც საქმე ეხება ინვესტორების მოძიებას, რაც საჭიროებს გარკვეულ თანამშრომლობას სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის. მაშინ, როდესაც გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აქვთ ყველაზე მეტი ცოდნა საბადოებთან დაკავშირებით, Invest in Georgia-ს აქვს ყველაზე დიდი კომპეტენცია, როდესაც საქმე ეხება პოტენციური ინვესტორების მოძიებასა და მათთან კომუნიკაციას, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უნდა იყოს ჩართული, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ რესურსების პოტენციალი, მოიზიდოს მეტი დამატებითი ღირებულება საქართველოში, გათვალისწინებულია.

მეტი კერძო ინვესტიციის ხელშეწყობა სასარგებლო წიაღისეულის სექტორში არის სტრატეგიის უმთავრესი მიზანი. თუმცა ბუნებრივი რესურსების პრივატიზება (ვიდრე ბუნებრივი რესურსების საჯარო საკუთრებაში არსებობისა და კერძო ინვესტორებისთვის ლიცენზიის მინიჭების არსებული სისტემის შენარჩუნება) არ არის რეკომენდირებული საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით (იხ. ცხრილი 1). თავი რომ დავანებოთ იმ გარემოებას, რომ რესურსების მოცულობა ართულებს პრივატიზაციას, პრივატიზაციიდან მიღებული ფისკალური შემოსავლის გაზრდასთან დაკავშირებულმა ყველა ექსპერიმენტმა დააზარალა საზოგადოების ინტერესი თითქმის ყველა გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყანაში. თუ ფისკალური მოგება რჩება მთავრობისთვის მთავარ მიზნად, როდესაც საქმე ეხება წიაღისეულის სექტორს, მაშინ რესურსების პრივატიზება არ არის რეკომენდირებული.

მინიმალური ფასის მქონე აუქციონების არსებული სისტემის გაუქმება არის არსებითი აღნიშნული სტრატეგიის წარმატებისთვის. არ არსებობს კარგი ეკონომიკური მიზეზი, რომელიც გაამართლებდა ამ სისტემისთვის დამახასიათებელი ფისკალური ტვირთის დისბალანსს. სასარგებლო წიაღისეულის სექტორში ფისკალური ტვირთი უნდა დაეკისროს კომპანიას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის მიიღებს შემოსავალს მოპოვებული რესურსებიდან. გათვალისწინებული უნდა იყოს შესწავლის ლიცენზიის საფასურის შემცირებაც, რადგან საქართველოში ამჟამად არსებული ფასი ძალიან მაღალია.

რამდენიმე ინვესტორის დაინტერესების შემთხვევაში, აუქციონი უნდა ჩატარდეს, თუმცა მინიმალური ფასის გარეშე. აუქციონი მინიმალური ფასის გარეშე არასდროს არ იქნება დაბრკოლება ინვესტიციებისთვის. რამდენიმე მყიდველის არსებობის შემთხვევაში ასეთი აუქციონი უზრუნველყოფდა, რომ რესურსების იჯარის უფრო დიდი წილი მოხმარებოდა ქართველ საზოგადოებას. ამიტომ ეს სისტემა არ არის ე.წ. „ღია წვდომა“, რომელშიც პირველი ინვესტორი იღებს საბადოს. ღია წვდომის სისტემა არ გულისხმობს რესურსების იჯარიდან მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილის საზოგადოების სასარგებლოდ მოხმარებას, რაც უნდა იყოს გადასახადების სისტემის მიზანი.

ლიცენზირების პროცედურებში უნდა ჩაიდოს პრეკვალიფიკაციის შემოწმებისა და “use or lose” დებულება. “use or lose” დებულება შეიძლება დაკავშირებული იყოს განვითარების გეგმის შემუშავებასთან, რომელსაც ერთობლივად ახორციელებენ გარემოს ეროვნული სააგენტო და მომპოვებელი კომპანია, რომლებიც განსაზღვრავენ, რომელი მეთოდი იქნება გამოყენებული და რა მინიმალური მოპოვების მოცულობა უნდა იყოს გათვალისწინებული. მსგავსი მეთოდი უკვე გამოყენებულია საქართველოს ნავთობისა და გაზის შესახებ კანონმდებლობაში და შესწავლილი

უნდა იყოს, რომელი პრაქტიკა შეიძლება გადმოვიღოთ პირდაპირ ტექნიკურ დონეზე. ასეთ დაგეგმვას ის უპირატესობა აქვს, რომ სააგენტოს ექნება საჭირო ინფორმაცია, რათა უზრუნველყოს საგადასახადო შესაბამისობა მომდევნო ეტაპებზე.

დაბოლოს, ვინაიდან მიწისა (კერძო) და ბუნებრივი რესურსების ფლობამ (საჯარო და მესამე მხარის მიერ ლიცენზიის საფუძველზე) შეიძლება შექმნას კონფლიქტი სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ ინვესტორსა და მიწის მფლობელს ან რესურსებზე არსებული სახლების მესაკუთრეებს შორის, შემოღებული უნდა იყოს გამჭვირვალე წესები, რომელიც გადაწვეტს, როდის მოხდება კონფისკაცია და რა კომპენსაციას მიიღებენ სახლებისა თუ მიწის მფლობელები. ვინაიდან რესურსები საზოგადოების საკუთრებაა, რესურსების იჯარაც, შესაბამისად, ეკუთვნის საზოგადოებას, სახლისა თუ მიწის მფლობელმა კომპენსაციის სახით უნდა მიიღოს მხოლოდ სახლისა თუ მიწის საფასური და არ უნდა „დაჯილდოვდეს“ იმისთვის, რომ მის მიწაზე აღმოჩნდა რესურსი.

სტრატეგიის ეს კომპონენტები მოითხოვს ბევრ მუშაობას და გარემოს ეროვნული სააგენტოს რესურსებს. სასარგებლო წიაღისეულის სექტორი შეიძლება იყოს ზრდისა და შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო, მაგრამ იგი მოითხოვს კომპეტენტურ ზედამხედველობას, საჭიროა, რომ სექტორი, სახელმწიფოს გარდა, წარმოადგინოს კომპეტენტურმა და ძლიერმა პარტნიორებმა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტანდარტების შესრულება, სალიცენზიო ხელშეკრულების ვალდებულებები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საგადასახადო შესაბამისობა.

ცხრილი 1: რესურსები უნდა დარჩეს საჯარო საკუთრებაში თუ მოხდეს მათი პრივატიზება?

ზოგიერთი ქვეყნის საკუთრების უფლების სისტემა არის მისი ისტორიული ტრადიციებისა და მმართველი პოლიტიკური სისტემების შედეგი. ღია წვდომა მიწის გამოყენებაზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რესურსები ამოუწურავია. სიმწირის პირობებში სასოფლო სამეურნეო მიწის გამოყენებისას კერძო ფლობა არის მომგებიანი, რადგან ეს უზრუნველყოფს მიწის მდგრად გამოყენებას, გრძელვადიან თაობათაშორისი თვალსაზრისითაც კი. მაგრამ მაღალგანვითარებული ქვეყნების არსებული მფლობელობის რეჟიმების უმრავლესობის შემთხვევაში კერძო მფლობელობა შეზღუდულია მხოლოდ ნიადაგის ზედაპირის გამოყენებაზე სასოფლო სამეურნეო წარმოებისთვის, სამრეწველო წარმოებისა და საცხოვრებლად. თითქმის ყველა თანამედროვე პოლიტიკურ წყობაში განახლებადი რესურსები მიწის ზედაპირზე (წყლის რესურსები, ხელუხლებელი ტყეები და ორგანული ბუნებრივი რესურსები) და არაგანახლებადი რესურსები მიწის ქვეშ იმართება კოლექტიური უტილიტარული რეჟიმების მიერ, რომელთაც უწევთ როგორც სოციალური მიზნების (როგორცაა კეთილდღეობა და სოციალური სამართლიანობა) შესრულება, ისე ეფექტური და მდგრადი რესურსების გამოყენების უზრუნველყოფა.

მსგავსი კოლექტიური უტილიტარული რეჟიმების უკან მდგომი ეკონომიკური მიზეზებია: (1) ბუნებრივი მინერალებისა და არამინერალების საბადოების მოცულობა, რომელიც ხშირად აჭარბებს არსებული კერძო საკუთრების ლიმიტს, (2) სახელმწიფო ინტერესი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში, (3) დისტრიბუციის სერიოზული პრობლემები, თუ შეიქმნევა კერძო მფლობელობის სისტემა. ნაციონალური უტილიზაციის რეჟიმიდან კერძო მფლობელობაზე გადასვლა შექმნის უამრავ პრობლემას ჯერ კიდევ არსებული (ზედაპირის) მიწის მფლობელების ან რესურსების მფლობელების უფლებებთან დაკავშირებით, რაც თავიდან უნდა განისაზღვროს. დისტრიბუცია ნიადაგის ზედაპირის მფლობელების სასარგებლოდ ფაქტობრივად ჩამოართმევდა მას ყველა დანარჩენ მოქალაქეს. კერძო მფლობელობაზე გადასვლა იგულისხმებდა ვაუჩერების სისტემის ან სახელმწიფო სააგენტოს შექმნას.

ვაუჩერების სისტემა სრულიად ჩავარდა თითქმის ყველა, გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყანაში, სადაც ყველაზე მოკლე პერიოდში ყველა ყოფილი საჯარო საკუთრება გადავიდა ახლად წარმოქმნილი ოლიგარქების ხელში. ყველა შესაძლო ხარვეზის გათვალისწინებით, სახელმწიფო სააგენტოები უფრო ეფექტურია ბუნებრივი რესურსებისგან მიღებული შემოსავლების გამოყენებაში ინფრასტრუქტურულ ინვესტიციებში, კოლექტიურ დაფინანსებაში (როგორც ნორვეგიაში) ან მეურნეობებისთვის პირდაპირი გადარიცხვების შემთხვევაშიც კი (მონღოლეთის მსგავსად).

„საბადოების შესწავლისა და ეკონომიკური ზრდის გაძლიერების მიზნით რესურსების გადაცემა კერძო საკუთრებაში ხელს უწყობს რესურსების იჯარას, როგორც პოლიტიკური საქმიანობის ზოგად ფორმას. ნაკლებად პირდაპირ, მაგრამ ალბათ უფრო დიდი მნიშვნელობით, კერძო ინტერესებისთვის რესურსების გადაცემის პრეცედენტი ხელს უწყობს პოლიტიკურ ელიტას, ცვალონ მმართველობის ფორმები, რათა შეეძლოთ საჩუქრად გადასცენ რესურსები საკუთარ პოლიტიკურ მოკავშირეებს, რაც ნიშნავს ბევრად უფრო კორუმპირებული პოლიტიკური სისტემის დანერგვას. რესურსებით მდიდარი განვითარებადი ქვეყნებისთვის უსაფრთხო საკუთრების უფლებების სისტემის შექმნა რესურსების ფონდთან დაკავშირებით შეიძლება არ იყოს პროდუქტიული, თუ გადაცემის მეთოდი არის არალეგიტიმური და ემსახურება მხოლოდ ძალაუფლების სათავეში მყოფთა ინტერესებს“ (დეკონი/მიულერი, 2004 წ.).

რეკომენდაცია 3: რესურსების იჯარაში სახელმწიფოს წილის დაცვის პრინციპული ინსტრუმენტი (მოგების გადასახადისა და VAT-ის გარდა) უნდა იყოს ორეტაპიანი როიალტის სისტემა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს კომპანიების მიერ რეალურად მოპოვებულ წლიურ მოცულობას.

- პირველი ეტაპი უნდა იყოს ფიქსირებული თანხა (ლარი/ტონა), როგორც ამჟამად, სხვა ქვეყნებში როიალტის დონის განსასაზღვრად განახლებული გამჭვირვალე მეთოდის გამოყენების ინტერვალი დაახლოებით 5 წელია.
- როიალტის მეორე ეტაპი უნდა იყოს საბაზრო ფასზე დაფუძნებული კომპონენტი, რომელიც იღებს რესურსის არსებული საბაზრო ფასის ცვლილებას იმ საბაზრო ფასიდან, რომელიც იყო პირველი ეტაპზე, როდესაც განისაზღვრა როიალტის ღირებულება.

როიალტის სისტემა უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებიდან შემოსავლის მიღების ძირითადი ელემენტი, რადგან შემოსავლის მიღება იწყება რესურსების მოპოვების ფაზაში, რაც, დიდი ალბათობით იწვევს ფინანსური აქტივების სწრაფ გაუფასურებას პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში, როგორც ხშირად ხდება სხვა ქვეყნებში. ამგვარად ხდება შემოსავლის მიღება მაშინ, როდესაც კომპანიების ლიკვიდურობა არის საუკეთესო.

როიალტის ორეტაპიანი სისტემა უნდა დაეხმაროს გარემოს ეროვნულ სააგენტოს, უზრუნველყოს კომპანიების საგადასახადო შესაბამისობა, რადგან ასეთ შემთხვევაში შეფასდება მხოლოდ მოპოვების მოცულობა და არა ღირებულება. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ როიალტის დონე ორივე ეტაპზე თავიდანვე სწორად განისაზღვროს და განახლდეს რეგულარული ინტერვალებით გამჭვირვალე მეთოდის გამოყენებით ისე, რომ ინვესტორებს ჰქონდეთ სწორი მოლოდინი მომავალი როიალტის გადასახადზე.

როიალტის პირველი ეტაპი არსობრივად იგივე სისტემაა, რაც ამჟამად გამოიყენება, მაგრამ ის უნდა შემცირდეს ერთ გადასახადამდე, სადაც ბიუჯეტის მეშვეობით მოხდება შემოსავლების შიდა სამთავრობო დისტრიბუცია. როიალტის პირველი ეტაპი უნდა შეესაბამებოდეს რესურსების მწარმოებელი სხვა ქვეყნების ეფექტური როალიტების სისტემას. გონივრულია მეთოდის შემუშავებისა და პირველად როალიტის დონის დადგენისას ტექნიკური დახმარების გამოყენება. ამის შემდეგ მეთოდი უნდა გადაეცეს გარემოს ეროვნულ სააგენტოს გასახლებლად. ვინაიდან ამჟამად სასარგებლო წიაღისეულის სექტორის მთლიანი ფისკალური ტვირთი საკმაოდ დაბალია, მოსალოდნელია როიალტის დონის მკვეთრი ზრდა, მაგრამ ამან არ უნდა დააფრთხოს ახალი ინვესტორები, თუ პარალელურად გატარდება ამ ნაშრომში განხილული რეფორმები.

როიალტის მეორე ეტაპი არის მოქნილი ელემენტი, რომელიც ერთნაირად ეხმარება საგადასახადო შემოსავლებსა და ფისკალურ ტვირთთან დაკავშირებული საბაზრო ფასების რისკების შემცირებას. ტექნიკური თვალსაზრისით, ხდება რესურსის არსებულ საბაზრო ფასსა და პირველი ეტაპის როიალტის განსაზღვრის დროს არსებულ საბაზრო ფასს („საბაზისო ფასის“) შორის არსებული სხვაობის გათვალისწინება. ამ სხვაობის გამო, მოპოვებული რესურსის თითოეული ტონის განსაზღვრული წილი წარმოადგენს დამატებით როიალტის, თუ ამჟამინდელი ფასი უფრო მაღალია, ვიდრე საბაზისო ფასი ან ხდება ნაწილობრივი როიალტის დაბრუნება, თუ ამჟამინდელი ფასი საბაზისო ფასზე დაბალია. თუ ამჟამინდელსა და საბაზისო ფასებს შორის სხვაობა უფრო მაღალია ვიდრე პირველი ეტაპის როიალტის შეფარდება საბაზისო ფასთან (პირველი ეტაპის როიალტის „საგადასახადო განაკვეთი“), კომბინირებული როიალტის სისტემითაც შესაძლებელია რესურსების იჯარის უფრო მარტივი წესით დაბეგვრის უზრუნველყოფა, რადგან წარმოების ხარჯები უცვლელი დარჩება და მასზე გავლენას ვერ მოახდენს საბაზრო ფასების ცვლილებები. საბაზრო ფასის განსაზღვრისთვის გამოყენებული უნდა იყოს ისეთი საერთაშორისო ფასების

საზომი, როგორცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სასაქონლო ფასები, რაც ხელს უწყობს განხორციელებასა და გამჭვირვალობის გამარტივებას.

რეკომენდაცია 4: საქართველო უნდა შეუერთდეს მომპოვებელი მრეწველობების გამჭვირვალობის ინიციატივას (Extractive Industries' Transparency Initiative – EITI), რომელშიც გაერთიანებულია 31 წევრი და 18 კანდიდატი ქვეყანა, რომლებიც შეთანხმდნენ რესურსების მოპოვებასთან დაკავშირებული საჯარო თუ კერძო მონაცემების გამჭვირვალობის საერთო სტანდარტებზე.

EITI-ის წევრობა მიზნობრივი ვარიანტია საქართველოსთვის, რაც საშუალებას მისცემდა ქვეყანას, ჰქონდეს კომპანიის შესახებ ინფორმაციის მოპოვების საერთო სტანდარტი, რაც უკეთეს სავაჭრო პოზიციაში აყენებს მას ინვესტორებთან. როდესაც ვსაუბრობთ სასაარგებლო წიაღისეულის სექტორში საგადასახადო შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, განსაკუთრებით მოგების გადასახადების შემთხვევაში, საჭირო ინფორმაციაზე წვდომა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან კომპანიები წარმატებით ახერხებენ მათზე დაკისრებული საგადასახადო ტვირთის შემცირებას.

რეკომენდაცია 5: რეფორმების მიმდინარეობისას, საქართველომ უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე არსებულ კომპანიებთან ურთიერთობისას და არ აიძულოს ისინი, ჩაერთონ ახალ სისტემაში.

ინვესტორთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხშირად სავალდებულო იქნება ხელშეკრულებებით. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასე არ ხდება, საქართველოს, როგორც კარგი საინვესტიციო გარემოს, რეპუტაცია დამოკიდებულია, როგორ ვექცევით ინვესტორებს. ვინაიდან არსებულმა ინვესტორებმა ლიცენზიის მოსაპოვებლად უკვე გადაიხადეს აუქციონის მინიმალური ფასი, ისინი არ უნდა ვაიძულოთ, ჩაერთონ ახალ სისტემაში, რომელსაც, დიდი ალბათობით, აქვს მნიშვნელოვნად მაღალი როიალტის დონე.

დანართი

დანართი 1: საქართველოში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა

ცხრილი A1

მინერალური რესურსები	სამართლებრივი დოკუმენტები	დანიშნულება
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება	კანონი წიაღის შესახებ	საკუთრების უფლება და ვალდებულებები
	კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ	ლიცენზიის გაცემა
	საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს დადგენილება #136 ლიცენზიის გაცემისა და პირობების შესახებ	ლიცენზიის გაცემა
	საქართველოს მთავრობის 2008 წლის 4 აპრილის დადგენილება #1-1/480 აუქციონის საწყისი ფასის მეთოდოლოგიის შესახებ	განსაზღვრავს აუქციონის საწყის ფასს
მინერალური წყალი	საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს დადგენილება #1 მოპოვების ლიცენზიის საკანონმდებლო გადასახადის შესახებ	აწესებს საკანონმდებლო გადასახადს (როიალტი) რესურსის მოპოვებისთვის
	კანონი წყლის შესახებ	საკუთრების უფლება, ვალდებულებები, ლიცენზიის გაცემა
	საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს დადგენილება #136 ლიცენზიის გაცემისა და პირობების შესახებ	ლიცენზიის გაცემა
	საქართველოს მთავრობის 2008 წლის 4 აპრილის დადგენილება #1-1/480 აუქციონის საწყისი ფასის მეთოდოლოგიის შესახებ	განსაზღვრავს აუქციონის საწყის ფასს
ნავთობისა და გაზის მოპოვება	Decree #1 of 12 th August 2011 – regulatory fees for extraction licences	აწესებს საკანონმდებლო გადასახადს (როიალტი) რესურსის მოპოვებისთვის
	კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ	საკუთრების უფლება, ვალდებულებები, ლიცენზიის გაცემა

წყარო: www.matsne.gov.ge

დანართი 2: შემთხვევის ანალიზი – სასარგებლო წიაღისეულის კანონმდებლობა და საგადასახადო სისტემა დასავლეთ ავსტრალიაში⁷

შესწავლა

ეს გულისხმობს დიდი ტერიტორიის შესწავლას ნიადაგის მინიმალური დაზიანებით. სტატუსი ენიჭება დიდ ტერიტორიას, რომლის ზომაც დროთა განმავლობაში მცირდება, გამოყენების პროცესის მიმდინარეობისას უფრო პერსპექტიული ნიადაგის დადგენის შემდეგ.

- აპლიკაციის შეტანა შესაძლებელია სასარგებლო წიაღისეულის რეგისტრაციის ნებისმიერ ოფისში ან ელექტრონულად დეპარტამენტის ვებგვერდიდან ("Mineral Titles online (MTO)")
- შესწავლის ლიცენზიის ვადა არის 5 წელი. მინისტრს შეუძლია გაახანგრძლივოს წინასწარ განსაზღვრულ შემთხვევებში.
- ლიცენზიის მეოთხე და მეხუთე წლის ბოლოს უნდა ჩაბარდეს ლიცენზიით გათვალისწინებული სამუშაოს 50%. 10.02.2006 წლის შემდეგ მიღებული ლიცენზიების შემთხვევაში, სავალდებულოა 40%-ის ჩაბარება მეხუთე წლის ბოლოს.
- შესწავლის ლიცენზიის მფლობელს, ლიცენზიის პირობათა შესაბამისად, შეუძლია მოიპოვოს ან გამოიყენოს 1000 ტონამდე რესურსი. მინისტრს შეუძლია გაზარდოს რესურსის მოცულობა.

მოპოვება

სამიუბო ტერიტორიის მფლობელს უფლება აქვს, მიმართოს და მოიპოვოს სასარგებლო წიაღისეულის იჯარა შესწავლის ლიცენზიის ფარგლებში. იგულისხმება, რომ შესწავლის ლიცენზიის მფლობელი მოითხოვს წიაღისეულის იჯარას, თუ შესწავლის ფაზა დასრულდა და აღმოჩენილ იქნა ფინანსურად მომგებიანი რესურსი.

- აპლიკაციის შეტანა შესაძლებელია სასარგებლო წიაღისეულის რეგისტრაციის ნებისმიერ ოფისში ან ელექტრონულად დეპარტამენტის ვებგვერდიდან.
- სამთო იჯარის აპლიკაციას თან უნდა ახლდეს საგრანტო განცხადება ან განცხადება და ანგარიში მინერალიზაციის შესახებ, რომელიც მომზადებულია კვალიფიცირებული პირის მიერ. განცხადება შეიცავს ინფორმაციას შესაძლო დაწყების თარიღის, მოპოვების მეთოდისა და ტერიტორიის შესახებ.
- ადამიანს ან კომპანიას შეუძლია ფლობდეს შეუზღუდავი რაოდენობის სამთო იჯარას.
- სამთო იჯარის მოქმედების ვადა არის 21 წელი. შესაძლებელია მისი განახლება.

როიალტები

როიალტი არის გასაყიდი ფასის პროცენტი. არსებობს სამი ადვალორული განაკვეთი, რომელიც ასახავს დამუშავების ხარჯებს, მინერალების მოპოვების შემდეგ: 7.5% არის ნაყარი მასალა, 5% მინერალების კონცენტრატებისთვის, 2.5% ლითონის მინერალების ან მათი ეკვივალენტებისთვის. როიალტის გადახდა ხდება სასარგებლო წიაღისეულის დეპარტამენტისა და დასავლეთ ავსტრალიის პეტროლიუმის ანგარიშზე ყოველ კვარტალში.

გადასახადები

გამოიყენება 30% წმინდა მოგების გადასახადი. 2014 წელს გაუქმდა სასარგებლო წიაღისეულის სპეციალური გადასახადი (მინერალური რესურსების იჯარის ფედერალური გადასახადი) ადმინისტრაციისა და აღსრულების დონეზე არსებული სირთულეებისა და დაბალი შემოსავლების გამო.

⁷ ვინაიდან წიაღის შესახებ კანონი ნაწილობრივ იწერება სახელმწიფო დონეზე, ეს შემთხვევის ანალიზი აჩვენებს დასავლეთ ავსტრალიაში მოქმედ ეროვნული და სახელმწიფო დონი რეგულაციებსა და დაბეგვრასეზე. წყარო: PWC, დასავლეთ ავსტრალიის სასარგებლო წიაღისეულისა და ნავთობის დეპარტამენტი.

დანართი 3: ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასი

ლიცენზიის აუქციონის საწყისი ფასი არსებულ სისტემაში ითვლება ქვემოთ მოცემული ფორმულით, რომელიც უდრის მთავრობის საკანონმდებლო გადასახადის მოსალოდნელი ნაკადის წმინდა მიმდინარე ღირებულება ლიცენზირებული რესურსის სრული მოპოვებისთვის, რომელიც იყენებს მუდმივი მოპოვების მოცულობას წელიწადში და 15%-იან ფასდაკლებას:

$$Y = \sum_{t=1}^n \frac{\frac{Q \cdot L}{n}}{(1 + K)^t}$$

Y – მოპოვების ლიცენზიის საწყისი ფასი

Q – რესურსის მოცულობა

L – მოპოვების საფასური (როიალტი)

K – 15%-იანი ფასდაკლება

n – ლიცენზიის ხანგრძლივობა (წელი)

t – წელი

შენიშვნა: განსაკუთრებული რესურსების კატეგორიისთვის არსებობს ფორმულის მეორე ვარიანტი, რომელიც პრაქტიკაში არ გამოიყენება, რადგან კატეგორიები არ არის ჯეროვნად განსაზღვრული.

მიმდინარე კვლევითი ნაშრომების ჩამონათვალი:

- გაცვლითი კურსი და საქართველოს მიმდინარე ანგარიში – სტეფან ვონ კრამონ-ტაუბადელი, კვლევითი ნაშრომი PP/04/2015
- მოკლევადიანი რისკები და გრძელვადიანი გამოწვევები ქართული ღვინის წარმოებაში – სტეფან ვონ კრამონ-ტაუბადელი და დავიდ საჰა, კვლევითი ნაშრომი PP/03/2015
- შეიძლება ელექტროენერჯის დაბალი ფასები გახდეს საქართველოს შედარებითი პირატესობა? – გეორგ ზაჩმანი, კვლევითი ნაშრომი PP/02/2015
- საქართველოს ეკონომიკური სპეციალიზაცია: წარსული და მომავალი – გეორგ ზაჩმანი, დავიდ საჰა და მიქელე პერუცი, კვლევითი ნაშრომი PP/01/2015
- საქართველოში გზების მოვლის დაფინანსება. იურგენ ერკე და დავიდ საჰა, კვლევითი ნაშრომი PP/03/2014

მიმდინარე კვლევითი პრეზენტაციების ჩამონათვალი:

- გაცვლითი კურსი და საქართველოს მიმდინარე ანგარიში: დასკვნების შეჯამება – სტეფან ვონ კრამონ-ტაუბადელი, PB/10/2015
- ეკონომიკური ანალიზის გაძლიერება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში – დავიდ საჰა, კვლევითი ბრიფინგი PB/09/2015
- სოფლის მეურნეობისა და საკვების წარმოება: საქართველოს პოტენციალი. დავიდ საჰა, ია კაცია. კვლევითი ბრიფინგი PB/08/2015
- ბიზნეს-სერვისები: საქართველოს პოტენციალი. დავიდ საჰა და ლევან ფავლენიშვილი, კვლევითი ბრიფინგი PB/07/2015
- საინჟინრო პროდუქტები: საქართველოს პოტენციალი. დავიდ საჰა და ოლგა აჟიბეცევა. კვლევითი ბრიფინგი PB/06/2015
- ენერგო-ინტენსიური წარმოება: საქართველოს პოტენციალი. დავიდ საჰა, ლევან ფავლენიშვილი და გეორგ ზაჩმანი. კვლევითი ბრიფინგი PB/05/2015
- მოკლევადიანი რისკები და გრძელვადიანი გამოწვევები ქართული ღვინის წარმოებაში – სტეფან ვონ კრამონ-ტაუბადელი და დავიდ საჰა, კვლევითი ბრიფინგი PB/03/2015
- შეიძლება ელექტროენერჯის დაბალი ფასები გახდეს საქართველოს შედარებითი უპირატესობა? გეორგ ზაჩმანი, კვლევითი ნაშრომი PB/02/2015
- საქართველოს ეკონომიკური სპეციალიზაცია: აწმყო და მომავალი. გეორგ ზაჩმანი, დავიდ საჰა და მიქელე პერუცი, კვლევითი ნაშრომი PB/01/2015

ყველა ნაშრომის, პრეზენტაციისა და მომავალი პუბლიკაციის ჩამოტვირთვა უფასოდ შესაძლებელია <http://www.get-georgia.de/publikationen/policy-papers/>. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, მიმართოთ გერმანელ ეკონომისტთა ჯგუფი საქართველოს შემდეგ ელ-ფოსტაზე: info@get-georgien.de